



შინაარსი

1.	ნორმატიული ბაზა	3
2.	ტერმინები. განმარტებები. შემოკლებები.	3
3.	მუხლი 1. რეგულირების საგანი	6
4.	მუხლი 2. არაფორმალური განათლების აღიარების მიზნები	6
5.	მუხლი 3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობები	6
6.	მუხლი 4. აკადემიაში პროფესიული არაფორმალური განათლების აღიარებისთვის წარსადგენი დოკუმენტები	8
7.	მუხლი 5. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცესი	8
8.	მუხლი 6. სამუშაო ჯგუფი	8
9.	მუხლი 7. აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არაფორმალური განათლების აღიარების უფლებამოსილი ორგანო	8
10.	მუხლი 8. გადაწყვეტილების მიღება	10
11.	მუხლი 9. პროცედურაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი	11
12.	მუხლი 10. გავრცელების არე	12
13.	დანართი 1 . განცხადების ფორმის ნიმუში	13

ND 2-F16

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 27.02.2018

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის არევიზია ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის აღიარებული კოდექსი. რევიზიის ასლზე დატანა პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარვე შემთხვევაში ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიბის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



1. ნორმატიული ბაზა

1. საქართველოს კანონი “პროფესიული განათლების შესახებ“ ნდ № 1-01- 02.
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის №8/ნ და 2012 წლის 4 სექტემბრის №171/ნ ბრძანებები.
3. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება ND 2-001;
4. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2-Q03;
5. დოკუმენტების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-01;
6. ჩანაწერების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-02;

2. ტერმინები. შემოკლებები. განმარტებები

2.1. ტერმინები

2.1.1. პროფესიული მომზადების ცენტრი - არის აკადემიის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული, რომლის ფუნქციაა საზღვაო ტრანსპორტის სპეციალისტების მომზადება-გადამზადება აკადემიური ხარისხის ან უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების გარეშე “მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად.

2.1.2. სენატი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.

2.1.3. პროფესიული სტუდენტი (აკადემიის სტუდენტი) – პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობისა და ბათუმის საზღვაო აკადემიის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.1.4. არაფორმალური პროფესიული განათლება – პროფესიული განათლება, რომელიც პირმა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად.

ND 2-F16

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 27.02.2018

შეუქმადე არ ჩაითვლება დოკუმენტის აჩვენაობის ნაკლები ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დროებითი ვერსიის“ რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ შეთანხმებული ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



- 2.1.5. ფორმალური პროფესიული განათლება-** განათლება, რომლის მიღება ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს თეორიულ სწავლებას, სასწავლო ან/და საწარმოო პრაქტიკას და სრულდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით.
- 2.1.6. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება-** პროცესი, რომლის დროსაც ხდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება.
- 2.1.7. პროფესიული სტანდარტი –** დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და პროფესიული ცოდნა და უნარები, აგრეთვე დგინდება პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნები.
- 2.1.8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი –** დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, აგრეთვე შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების და პროგრამის განხორციელების წინაპირობები, შესარჩევი სწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემის ალტერნატიული ჩამონათვალი;
- 2.1.9. მოდული –** სწავლების დამოუკიდებელი, თანამიმდევრული ბლოკი, რომელიც ორიენტირებულია მისაღწევ სწავლის შედეგებზე. მოდულით განისაზღვრება სასწავლო თემატიკისა და მისაღწევი სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი და

ND 2-F16

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 27.02.2018

შეუქმადე არ ჩაითვლება დოკუმენტის ადგილი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულოვანი ცვლილება“. რევიზია ასევე დაატანს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



პროფესიული სტუდენტის სწავლებასა და შეფასების ორგანიზებასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

2.1.10. პროცესი - რესურსებისა და საქმიანობის ურთიერთდაკავშირებული ერთობლიობა, რომელიც მიწოდებულ საწყის მოცემულობას (შემავალს) გარდაქმნის საბოლოო პროდუქტად (გამოსასვლელად).

2.1.11. რესურსი - ყველაფერი რაც უზრუნველყოფს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მუშაობას (მიეკუთვნება პერსონალი, მომსახურება, მოწყობილობები, დროის რესურსები, ტექნოლოგია და მეთოდოლოგია).

2.1.12. პროცედურა - საქმიანობის ან პროცესის შემსრულებლისათვის დადგენილი მეთოდი (ხერხი). პროცედურა შეიძლება ეწოდოს როგორც პროცესს (პროცესების ერთობლიობას), ასევე დოკუმენტს, რომელშიც აღწერილია პროცესის განხორციელების სწორი გზა.

2.1.13. ნორმატიული დოკუმენტი - წერილობითი ინფორმაცია, რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებსა და მახასიათებლებს მოღვაწეობის გარკვეული სფეროსათვის.

2.1.14. პერიოდული შემოწმება - არის ქმედება, რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით.

2.2. შემოკლებები

ND – ნორმატიული დოკუმენტი;

აკადემია – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;

ISO – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;

ცენტრი - პროფესიული მომზადების ცენტრი;

ND 2-F16

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 27.02.2018

შეშვად არ ჩაითვალოს დოკუმენტის აქტიურობის ნიშნად ანუ თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეზღვევაში ანუ ჩაითვალოს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ანუ იხილო ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



მუხლი 1. რეგულირების საგანი

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე არაფორმალური განათლების აღიარების წესი არეგულირებს სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში (შემდგომში- აკადემია) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებსა და პროცესს.
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული არაფორმალური განათლების აღიარების წესი ეფუძნება აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და პროცედურის ობიექტურობისა და გამჭირვალობის პრინციპებს.

მუხლი 2. არაფორმალური განათლების აღიარების მიზნები

არაფორმალური განათლების აღიარების მიზნებია:

- ა) ფორმალური განათლების მიღმა მიღებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება.
- ბ) პირისათვის მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის, პიროვნული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობები:

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების უფლება აქვს აკადემიას, რომელიც ახორციელებს პროფესიული სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ე.წ. საგნობრივი და მოდულური).
2. საქართველოს კანონმდებლობით I-III საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული არაფორმალური განათლების აღიარება შესაძლებელია მიენიჭოს პირს, რომელსაც დამლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური.
3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება.
4. აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული არაფორმალური განათლების აღიარების დაწყების საფუძველია დაინტერესებული

ND 2-F16

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 27.02.2018

შეუქმად არ ჩაითვლება დოკუმენტის ავტომატური განახლება ანუ ის არ აქვს რევიზია „ღირებულებების განახლება“. რევიზია ასევე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებული ანუ ჩაითვლება როგორც „არაკორექტირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ანუ ისილი ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



პირის განცხადება, რომელსაც თან უნდა დაერთოს ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები.

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული არაფორმალური განათლების აღიარების მოთხოვნა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, გარდა საქართველოს შრომით კოდექსით დადგენილი უქმე და დასვენების დღეებისა.
6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული არაფორმალური განათლების აღიარება ხორციელდება აკადემიის რექტორის ბრძანებით შექმნილი საგამოცდო კომისიის მიერ გამოცდის დადგენილი წესით ჩატარების მეშვეობით, რის საფუძველზეც კომისია ღებულობს გადაწყვეტილებას სამუშაო პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების, შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ კომპეტენციებად ჩათვლის/ არ ჩათვლის შესახებ.
7. საგამოცდო კომისია უფლებამოსილია განსაზღვროს გამოცდების ჩატარების წესი, ფორმა და პირობები. საგამოცდო კომისია ვალდებულია იხელმძღვანელოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული შესაბამისი კვალიფიკაციის შეფასების სტანდარტით.

მუხლი 4. აკადემიაში პროფესიული არაფორმალური განათლების აღიარებისთვის წარსადგენი დოკუმენტები

1. აკადემიაში I-III საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არაფორმალური განათლების აღიარების მოთხოვნისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს:

ა) დაინტერესებული პირის (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება (დანართი 1), რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ:

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის დასახელებას;
- განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;
- მოთხოვნას არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ;
- განცხადების წარდგენის თარიღსა და ხელმოწერას;
- განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი;

გ) არსებობის შემთხვევაში, შრომითი პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პროფესიით პრაქტიკული მუშაობის ვადის, განხორციელებული საქმიანობის ან/და არსებული კომპეტენციების შესახებ.

ND 2-F16

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 27.02.2018

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის აჩვენო ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ შეთანხმებული ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამართლებრივი პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



- დ) ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და დამოწმებული ასლი, ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის დედანი და ნოტარიულად დამოწმებული ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამლევის გარეშე.
- ე) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100/ა) სამედიცინო ცენტრიდან, რომელთაც აქვთ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს სათანადო აღიარება;
- ვ) ცნობა ნარკოლოგიური ცენტრიდან;
- ზ) ცნობა ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერიდან;
- თ) ფერადი ფოტოსურათი (3×4 ფორმატის-2ცალი CD -დისკზე ჩაწერილი);
- ი) სხვა დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს დაინტერესებული პირის კომპეტენციებს.

2. აკადემია უფლებამოსილია განსაზღვროს განაცხადის განხილვის წინაპირობები.

მუხლი 5. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცესი

- 1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცესის უზრუნველყოფის მიზნით აკადემია, ამ წესის მოთხოვნების გათვალისწინებით, ამტკიცებს განაცხადის ფორმას, განაცხადის განხილვის პროცედურას, არაფორმალური განათლების აღიარების საგამოცდო კომისიას, საგამოცდო კომისიის საქმიანობის წესს, შეფასების პირობებს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სხვა შიდა ორგანიზაციული საქმიანობის მარეგულირებელ წესებს.
- 2. აკადემია ვალდებულია უზრუნველყოს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციისა და დამტკიცებული ფორმების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა.

მუხლი 6. სამუშაო ჯგუფი

- 1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მიზნით, მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საბუთების მიღებას აწარმოებს სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის ბრძანებით.
- 2. სამუშაო ჯგუფი განიხილავს შემოსულ მოთხოვნას და განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების სისრულეს.

ND 2-F16
სტატუსი: მოქმედი
რევიზია №1
რევიზიის თარიღი 27.02.2018
მოქმედებაშია 27.02.2018

მოქმედად არ მიაღწევა დოკუმენტის ავტომატური ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღარიბი“ ან „ღარიბი“ რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიაღწევა როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



3. სამუშაო ჯგუფმა მუშაობის დროს უნდა იხელმძღვანელოს წინამდებარე პროცედურებისა და განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ დამტკიცებული შესაბამისი კვალიფიკაციის შეფასების სტანდარტით.
4. სამუშაო ჯგუფი შესაძლებლობის ფარგლებში შეისწავლის და ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობას.
5. სამუშაო ჯგუფი წარმოდგენილ დოკუმენტებთან ან/და დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, აუცილებლობის შემთხვევაში უფლებამოსილია კონსულტაციაზე დაიბაროს განმცხადებელი.
6. იმ შემთხვევაში თუ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველი გონივრულ ვადაში არ წარმოადგენს დოკუმენტებს, სამუშაო ჯგუფი იქნება უფლებამოსილი არ განიხილოს განცხადება და უარი უთხრას არაფორმალური განათლების აღიარების მოთხოვნაზე.
7. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია საბუთების მიღება აწარმოოს განცხადების მიღებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 1 თვისა.
8. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია განმცხადებლის წარმოდგენილი საბუთები გონივრულ ვადაში გადასცეს საგამოცდო კომისიას.

მუხლი 7. აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არაფორმალური განათლების აღიარების უფლებამოსილი ორგანო

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებას ახდენს შესაბამისი საგამოცდო კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის ბრძანებით.
2. საჭიროების შემთხვევაში, აკადემია უფლებამოსილია საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში შეიყვანოს დარგის სპეციალისტი ან/და დარგის მარეგულირებელი წარმომადგენლები, მათ შორის დამატებით სხვა პირი/პირები. კომისიის მიერ დამატებითი პირების მოწვევა უნდა აღინიშნოს შესაბამის ოქმში.
3. შეფასების ეტაპზე კომისია შეისწავლის აღიარების მსურველის მიერ წარდგენილ განცხადებასა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას და ადგენს სწავლის შედეგების დადასტურების შესაძლებლობას. კომისია უფლებამოსილია არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტის/დოკუმენტების წარდგენა ან/და მიიღოს გადაწყვეტილება არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით გამოცდის ჩატარების ან/და სხვა ტიპის შეფასების შესახებ.

ND 2-F16

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 27.02.2018

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის ადგილი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულოვანი გეგმავარი“. რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარვე შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



4. არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით გამოცდის ჩატარების ან/და სხვა ტიპის შეფასების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შედეგად საგამოცდო კომისია უფლებამოსილია განსაზღვროს შეფასების ან/და გამოცდის ჩატარების ორგანიზების საკითხები, ან/და განსაზღვროს შეფასების პროცესში/გამოცდაზე ჩასართავი პირი/პირები. საგამოცდო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს კომისიის სხდომაზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება საჭიროების შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარის მიერ.
5. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს პირთა წრე, რომლებიც უზრუნველყოფენ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მიზნით აკადემიის მიერ შექმნილი კომისიის საქმიანობაზე მონიტორინგს.
6. პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული კომპეტენციების ჩასათვლელად, გამოცდის ჩასატარებლად საგამოცდო კომისია ამტკიცებს საკითხების ჩამონათვალს, რომელთა მიხედვით უნდა დადგინდეს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი არაფორმალური განათლების აღიარება.
7. საგამოცდო კომისიამ სხდომები და მიღებული გადაწყვეტილებები უნდა გააფორმოს ოქმის სახით. საგამოცდო კომისიის ოქმების გაფორმებას, რეგისტრაციას, ნუმერაციას, აკინძვასა და შენახვას უზრუნველყოფს კომისიის მდივანი. ოქმები მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, შენახვის მიზნით გადაეცემა აკადემიის კანცელარიას (არქივში) დადგენილი წესის შებამასად.
8. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა ხდება კომისიის მიერ საკუთარი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით.
9. საგამოცდო კომისია უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
10. საგამოცდო კომისიამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სამუშაო ჯგუფის მიერ დოკუმენტების გადაცემიდან არა უგვიანეს 1 თვის ვადაში.

მუხლი 8. გადაწყვეტილების მიღება

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, გამოცდის შედეგებისა და კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე აკადემიის სენატი იღებს გადაწყვეტილებას არაფორმალური განათლების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ, რაზეც აკადემიის რექტორი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.
2. აკადემიის რექტორის ბრძანება წარედგინება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში შესაბამისი ინფორმაციის ასახვის მიზნით.

ND 2-F16

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 27.02.2018

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის ადგილი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეზინული ცვლილება“. რევიზია ასლზე დაატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეზღუდვაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკორექტული“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სწავლის პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



3. არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მოიცავს:

- ა) აკადემიის დასახელებას;
- ბ) განმცხადებლის ვინაობას;
- გ) გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და ადგილს;
- დ) მითითებას იმის თაობაზე, პროფესიული განათლების რომელ საფეხურს ან მის ნაწილს შეესაბამება განმცხადებლის კომპეტენციები, ხოლო არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში - მითითებას შესაბამისი კომპეტენციების არარსებობის შესახებ, და შესაბამის დასაბუთებას;
- ე) ცალკეული კომპონენტების შეფასებებს;
- ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას.

4. არაფორმალური განათლების აღიარებაზე გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ აღიარების მსურველის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით/მოდულით/მოდულებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

5. აკადემია ვალდებულია, განახორციელოს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული ყველა სახის დოკუმენტაციის დაარქივება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. აკადემია ვალდებულია, გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს აღიარების მსურველს გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

7. აღიარების მსურველი უფლებამოსილია კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. პროცედურაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

- 1. ცვლილების ინიციატორი შეიძლება იყოს რექტორი, რექტორის მოადგილეები ან/და სტრუქტურული ერთეულების უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი.
- 2. დებულება და მასში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცება ხდება სენატის მიერ.
- 3. დაევალოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსს დებულების გადახედვა ყოველი ნახევარ წელიწადში ერთხელ.

ND 2-F16
სტატუსი: მოქმედი
რევიზია №1
რევიზიის თარიღი 27.02.2018
მოქმედებაშია 27.02.2018

მოქმედად არ მათვალსაზრისწამს აქვეყნის ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეზული ცვლებების“ რევიზია ასლზე დაატანს პროცედურა პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მათვალსაზრისწამს როგორც „არაკორექტული“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხოლო და კონტროლირებადი ასლი იხილო ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



მუხლი 10. გავრცელების არე

1. დოკუმენტის ორიგინალი ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;
2. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია (რომელიც წარმოადგენს დოკუმენტის საკონტროლო და აღრიცხულ ექზემპლარს) განთავსებულია;
www.office.bsma.edu.ge
3. დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლიარის დაგზავნას აწარმოებს ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური outlook-ით (სამუშაო ფოსტით) და დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემის მეშვეობით;

ND 2-F16

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 27.02.2018

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის არეერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის აღრიცხული ეგზემპლარი. რევიზიის ასლზე დაატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



დანართი 1.
განცხადების ფორმის ნიმუში

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორს
ბატონ _____

მოქალაქე _____
(სახელი, გვარი)

მცხოვრები _____
(მისამართი)

საკონტაქტო ტელეფონები: _____

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, მიიღოთ ჩემი განცხადება, თანდართული საბუთებით, -----

(კომპეტენცია)

(საფეხური)

პროფესიული არაფორმალური განათლების აღიარებისათვის საგანმანათლებლო
პროგრამის ----- ნაწილში.

თანდართული საბუთები:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პროფესიით პრაქტიკული მუშაობის ვადის, განხორციელებული საქმიანობის ან/და არსებული კომპეტენციების შესახებ.
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი);
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა # IV-100/ა);
- ცნობა ნარკოლოგიური ცენტრიდან;
- ცნობა ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერიდან;
- ფერადი ფოტოსურათი CD დისკით და 3x4 ფორმატის– 4 ცალი;

თარიღი:

ხელწერა:

ND 2-F16

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 27.02.2018

მოქმედებაშია 27.02.2018

მოქმედად არ მართლდება დოკუმენტის არეული ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის „ღირებულებები“. რევიზიის ასლზე დაატანეს პროფესორ პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მართლდება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სანაშური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge